

სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 03)

სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა (შემდგომში-პროგრამა) განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალური ჯგუფების, „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლების სადღესასწაულო დღეებში ნობათების (ტკბილეული, სურსათი და სხვა) გადაცემის პირობებსა და პროცედურებს.

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამაში მონაწილე მიზნობრივი ჯგუფების მორალური მხარდაჭერა.

მუხლი 2. დაფინანსების წყარო

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ძალაშია 2024 წლის პირველი იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლები

1. მრავალშვილიანი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-სს და ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი);
2. სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000- სს);
3. დიდი სამამულო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;
4. ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები;
5. შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები (ეტლსმიჯაჭვული, ცერებრალური დამბლა, დაუნის სინდრომი, აუტიზმი, მხედველობადაქვეითებული);
6. სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვები;

7. ა(ა)იპ „თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის“ ცენტრის ბავშვები;
8. სოციალურად დაუცველი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 5000-სს);
9. „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები;
10. მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები (მკვეთრი-მნიშვნელოვანი);
11. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარები.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთათვის სასაჩუქრე ნობათის გაცემა

პროგრამა ითვალისწინებს მოსარგებლებზე საჩუქრების გადაცემას სადღესასწაულო დღეებში, კერძოდ:

1. 3 მარტი (დედის დღე) - მრავალშვილიან ოჯახები;
2. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული - სოციალურად დაუცველ მარტოხელა პენსიონერები და მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები;
3. 9 მაისი - დიდი სამამულო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირები;
4. 26 მაისი (საქართველოს დამოუკიდებლობის დღე) - ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები;
5. 1 ივნისი (ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე):
 - ა) შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები (ეტლსმიჯაჭვული, ცერებრალური დამბლა, დაუნის სინდრომი, აუტიზმი, მხედველობადაქვეითებული);
 - ბ) სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვები;
 - გ) ა(ა)იპ „თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის“ ცენტრის ბავშვები;
 - დ) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები;
 - ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარები.
6. ახალ წელი:
 - ა) სოციალურად დაუცველ ოჯახები;

- ბ) შპს სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები (ეტლსმიჯაჭვული, ცერებრალური დამბლა, დაუნის სინდრომი, აუტიზმი, მხედველობადაქვეითებული);
- გ) სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვები;
- დ) ა(ა)იპ „თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის“ ცენტრის ბავშვები;
- ე) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები;
- ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარები.

მუხლი 6. დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტები

წარსადგენი დოკუმენტები:

- 1) წერილი ბენეფიციარების რაოდენობის შესახებ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისგან პროგრამის დასახელების მითითებით (გარდა მე-4 მუხლის მე-7, მე-9 და მე-11 პუნქტის შემთხვევებისა);
- 2) ა(ა)იპ „თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის“ - წერილი ბენეფიციარების შესახებ პროგრამის დასახელების მითითებით (მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის შემთხვევაში);
- 3) წერილი ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებიდან პროგრამის დასახელების მითითებით (მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის შემთხვევაში);
- 4) წერილი ბენეფიციარების რაოდენობის შესახებ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის ადმინისტრაციიდან (მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის შემთხვევაში).

მუხლი 7. სასაჩუქრე ნობათის გაცემის ორგანიზება

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია პროგრამით მოსარგებლე პირებისთვის საჩუქრების შესყიდვას ახორციელებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად;
2. პროგრამის მე-4 მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახური სასაჩუქრე ნობათებს მოსარგებლეებზე გადასაცემად მიღება-ჩაბარების აქტით აბარებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს;

3. პროგრამის მე-4 მუხლის მე-11 პუნქტის შემთხვევაში ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახური სასაჩუქრე ნობათებს მიღება-ჩაბარების აქტით აბარებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის ადმინისტრაციას.

მუხლი 8. პროგრამის შედეგის ინდიკატორი

ბენეფიციარების რაოდენობა, რომელთაც გადაეცათ ნობათები.

მუხლი 9. პროგრამის შედეგი

პროგრამის მოსარგებლეთა მორალური მხარდაჭერა.